

გუჩა კვარაცხელია

ქართული, როგორც მეორე ენა

(მიმოხილვითი ნაწილი)

1. ფუნქციური ასპექტის დომინანტურობის შესახებ მეორე ენის სწავლებისას

ენათმეცნიერული ლიტერატურა, სადაც ქართული ენის სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხთა შესწავლის შედეგებია მოცემული, მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანია, მაგრამ ამ სფეროში დაგროვილი, თვისებრივ-რაოდენობრივად მნიშვნელოვანი ცოდნა ლინგვოპედაგოგიკის სამსახურში რომ ჩავაყენოთ, აუცილებლად მიგვაჩნია მისი იმგვარი გადაწყობა, როცა წარმმართველი ხდება ფუნქციური ასპექტი, რაც უპირისპირდება ტრადიციული ფორმალური გრამატიკის პრინციპს „ენობრივი საშუალებიდან ფუნქციისკენ“, ანუ „ფორმიდან მნიშვნელობისკენ“. ასეთი მოთხოვნა ახალ გრამატიკას მოგვცემს, რომელიც ორიენტირებული იქნება ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების კანონზომიერებებსა და წესებზე, რომლებიც ენობრივ საშუალებათა ფუნქციების აღწერისას წარმოგვიდგებიან არა მარტო „საშუალებიდან ფუნქციისაკენ“ მიმართულებით, არამედ „ფუნქციიდან საშუალებისკენაც“.

მიმართულება „ფორმიდან სემანტიკისკენ“ ეფუძნება ერთიანობას ფორმალური და არა სემანტიკური თვალსაზრისით. ერთსა და იმავე ფორმას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა, რომლებიც შესაძლოა სხვადასხვა სემანტიკურ სფეროსაც განეკუთვნებოდეს. მიმართულება „სემანტიკურიდან ფორმისაკენ“ ფორმალური (ფორმის) მრავალფეროვნების პირობებში სემანტიკურ ერთიანობას ემყარება. ენის ორმაგი (ჯვარედინი) აღწერის საშუალებას იძლევა ფორმალურ საფუძველზე აგებული სისტემისა და სემანტიკურ ერთიანობაზე დამყარებული სისტემის შეთანადება. ფუნქციური გრამატიკის სპეციფიკა, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ მან უნდა აღწეროს, შეისწავლოს განსაკუთრებული სისტემა – გრამატიკული ფორმის, ლექსიკისა და კონტექსტის ურთიერ-

თქმედების სისტემა, აგრეთვე ენობრივ ერთეულთა ფუნქციონირების კანონზომიერებანი და წესები.

გრამატიკა, რომელიც ფორმიდან შინაარსისაკენ მიდის, იყო და დარჩება გრამატიკის ძირითად სახედ, ხოლო ფუნქციური გრამატიკა იქნება დამატებითი სახე გრამატიკული აღწერის ძირითადი ტიპისათვის. მაგალითად, ფუნქციურ გრამატიკაში ვერ მოხვდება ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმათა აღწერა. ამ ორ გრამატიკას შორის გადაკვეთის სფეროც გვექნება. მაგალითად, გრამატიკული კატეგორიები ყველა ტიპის გრამატიკებშია აღწერილი, მაგრამ ფუნქციურ გრამატიკაში აუცილებლად განიხილება ამა თუ იმ სემანტიკური ველის ფარგლებში.

მიდგომა „ფუნქციიდან საშუალებისაკენ“ (მნიშვნელობიდან ფორმისაკენ) მიზნად ისახავს ახლის მიეხას არა მარტო ფუნქციათა სფეროში, არამედ მატერიალურ საშუალებათა სფეროშიც. თუ გარკვეული ცნებითი კატეგორიაა აუცილებელი საფუძვლად და გვაქვს მასზე დამყარებული, მოცემულ ენაში რეალიზებული სემანტიკურ ფუნქციათა კომპლექსი, მაშინ უსათუოდ დაისმის კითხვა – რა საშუალებებით გამოიხატება მოცემული შინაარსი, გამოხატვის რომელ საშუალებებს უკავშირდება ამ შინაარსის სახეობანი და ვარიანტები. ამ დროს მკვლევრის ყურადღების არეში შემოვა არა მარტო უკვე ცნობილი ფორმები და კონსტრუქციები, არამედ მრავალრიცხოვანი რთული კომბინირებული საშუალებანი, რომლებიც „ფარულად“ იყო რთულ ლექსიკურ-კონტექსტურსა და გრამატიკულ-კონტექსტურ საშუალებებში, რის გამოც სულაც არ იყო ცნობილი და შესწავლილი.

ანალიზის მიმართულების შეცვლის გარდა, აუცილებელი ჩანს მნიშვნელობისა და ფორმის დონეების გვერდით გამოიყოს დისტრიბუციის დონე, სწორედ აქ განისაზღვრება ამა თუ იმ ენობრივი ერთეულების მოხმარების შემთხვევები, რაც ასევე მნიშვნელოვანია ენის სწავლების საქმეში. ეს ასპექტიც გადასამუშავებელია. ანგარიშგასაწევი და აუცილებელიც არის ზოგ შემთხვევაში გარკვეულ ენობრივ ერთეულთა სიხშირული განაწილებების დადგენა.

ლინგვისტიკისა და ლინგვოპედაგოგიკის დაკავშირება, ანუ თეორიული ცოდნის პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენება მეორე ენის სწავლებისას, შესაძლებელია კონტრასტული გრამატიკების

შექმნაზე ორიენტაციით, რაც კონტრასტული, ანუ შეპირისპირებითი ლინგვისტიკის საქმეა.

ცნობიერად თუ არაცნობიერად ნებისმიერი შესასწავლი გრამატიკა ენათა შედარების ფონზე იქმნებოდა. როგორც ამბობენ, პანინის გრამატიკა უკვე ლატენტურად შეიცავდა სასწავლო და სასაუბრო პრაკრიტების შეპირისპირებას. აღორძინების ხანის ევროპული გრამატიკები ფაქტობრივად ბერძნული და ლათინური გრამატიკების შედარებით იწერებოდა. შედარება, როგორც ცნობილია, ენის შესწავლის ძირითადი მეთოდია. შედარებას მიმართავენ ენათმეცნიერების შემდეგი დარგები: ისტორიულ–შედარებითი ლინგვისტიკა, არეალური ლინგვისტიკა, შეპირისპირებითი (კონტრასტული) ლინგვისტიკა და ტიპოლოგიური ლინგვისტიკა.

კონტრასტული ლინგვისტიკა უშუალოდ უკავშირდება გამოყენებითი ენათმეცნიერების სხვადასხვა სახეს, უპირველეს ყოვლისა, არამშობლიური ენის სწავლებას, სადაც შესაძლებელია მისი მუშევრით წინასწარ იქნეს განჭვრეტილი და თავიდან აცილებული არასასურველი ინტერფერენცია. არსებობს შეპირისპირებითი კვლევის სხვადასხვა მიმართულებანი, რომლებიც განსხვავდებიან კვლევის ობიექტით, ანალიზის დონითა და მიზნით.

კონტრასტული ანალიზის საგანი შეიძლება იყოს ენის ნებისმიერი დონის ერთეული: ფონემა, სიტყვა, გრამატიკული მოვლენა, ტექსტი. კვლევა შეიძლება შეეხოს არა ორ, არამედ სამ და მეტ ენას.

მიმართულების მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ორმხრივი (მრავალმხრივი) და ცალმხრივი კონტრასტული ენათმეცნიერება. პირველ შემთხვევაში შეპირისპირების საფუძველს წარმოადგენს „მესამე წევრი“ – გარკვეული არაენობრივი ცნება, რომლის გამოხატვის საშუალებებს აკვირდებიან ორ ან მეტ ენაში. ცალმხრივი მიმართულებისას გამოვლინდება ერთ-ერთი ენის რაიმე ფორმის მნიშვნელობა და განისაზღვრება შეპირისპირებულ ენაში ანალოგიურ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებები. ფაქტობრივად, პირველ შემთხვევაში შეპირისპირება შექცევადია, მნიშვნელობა არა აქვს, ამოსავალ ენასთან გვაქვს საქმე თუ ენა-მიზანთან; მეორე შემთხვევაში – შეპირისპირება შეუქცევადია, იგი არა მარტო ცალმხრივია, არამედ ერთმხრივი მიმართულიც, ერთი ენა ამოსავალია, მეორე არის ენა-მიზანი.

ნებისმიერ შეპირისპირებას საფუძვლად უდევს შეპირისპირების კატეგორია, ანუ კონტრასტული კატეგორია. ამ უკანასკნელს სემასიოლოგიური მიდგომისას ახასიათებს ფაქტების განხილვა ფორმიდან შინაარსისკენ, ანუ ენობრივი საშუალებიდან ფუნქციისკენ. ონომასიოლოგიური, ანუ ფუნქციური მიდგომისას შეპირისპირების კატეგორიას წმინდა სემანტიკური, ანუ ფუნქციური ხასიათი აქვს. ენობრივ ფაქტებზე დაკვირვებისას ორივე მიდგომა გასათვალისწინებელია.

რომელი მიმართულებაა უფრო ფასეული ლინგვოპედაგოგიკისა და თარგმნის თეორიისთვის? სისტემურ ასპექტზე უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციური ასპექტი ჩანს.

არ შეეცხებით იმ პლურალიზმს, რაც მეთოდოლოგიაში სუფევს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის, რაც აქამდე სპონტანურად არის გაკეთებული ენათა შეპირისპირების სფეროში, უნდა იქნეს თავმოყრილი და გამოყენებული შეპირისპირებითი გრამატიკების შესაქმნელად. ასეთი გრამატიკები კი იმდენი უნდა შედგეს, ქართული ენის რამდენენოვანი შემსწავლელიც გვეყოლება.

უცხო ენა ყოველთვის შეისწავლება უკვე არსებული (პირველადი, ამოსავალი) ენის ბაზაზე, ამიტომ პრინციპულად განსხვავდება მშობლიური ენისა და უცხო ენის სწავლება. ამის გათვალისწინებით კონფრონტაციული ლინგვისტიკა მშობლიური და უცხო ენის საერთო და განსხვავებული ელემენტებით ოპერირებს და ამის საფუძველზე განსაზღვრავენ ენობრივი მასალის შერჩევასა და განლაგებას სახელმძღვანელოებში, რათა ამგვარად მინიმუმამდე იყოს დაყვანილი უარყოფითი ინტერფერენციის მოვლენები.

შედარება განიხილება როგორც უნივერსალური საშუალება უცხო ენათა სწავლების ოპტიმიზაციისათვის. კონტრასტები შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ სრული და სისტემური შედარების საფუძველზე. უცხო ენის შესწავლისას შეცდომის წყარო არის არა მარტო ძლიერი კონტრასტები, როგორც ეგონათ, არამედ სუსტი კონტრასტებიცა და მსგავსებაც.

კონტრასტული ლინგვისტიკის ნაკლოვანებებისა და შეზღუდულობის დასაძლევად წინ იქნა წამოწეული ყოვლისმომცველი კონფრონტაციული გრამატიკა (ლინგვისტიკა), რომელიც კონტრასტულისგან განსხვავდება შემდეგით: ა) კონფრონტაციული გრამატიკა იკვლევს არა მარტო განსხვავებებს, არამედ მსგავსებებსაც სხვა-

დასხვა ენათა შორის, ბ) კონფრონტაციული გრამატიკა წარმოადგენს თეორიულ დარგს, კონტრასტული კი – პრაქტიკულს.

კონფრონტაციული შედარება არ იფარგლება მხოლოდ განსხვავებებით. ის უნდა ოპერირებდეს შესადარებელი ცნების მსგავსებებითა და აცდენებით. კონფრონტაციული შედარების ჩატარების ორი შესაძლებლობაა: შეპირისპირება, როგორც ახალი ლინგვისტური ცოდნის მიღების მეთოდი და შეპირისპირება, როგორც ლინგვისტურ ცოდნათა წარმოდგენის მეთოდი. პირველ შემთხვევაში ერთი ენა აღიწერება მეორის ტერმინებით და ეს მეორე გამოდის მხოლოდ როგორც ფონი, ათვლის წერტილი და არა როგორც აღწერის სრულუფლებიანი საგანი, ხოლო შეპირისპირება – როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენა – დიდი ხანია, ცნობილია, მას მიმართავდნენ ინტუიციურად, უმეტესად სპონტანურად და არა სისტემატურად. შეპირისპირებას, როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენას, ახლაც წარმატებით იყენებენ მასწავლებლები.

კონფრონტაციული შედარებისათვის ცალკეული უბრალო ენის აღწერები არ არის საკმარისი, საქმე უნდა ეხებოდეს შესაპირისპირებელი ტიპის აღწერებს.

თანამედროვე ენათმეცნიერების მიღწევათა გამოყენებასა და ენათმეცნიერთა აქტიურ ჩაბმას ლინგვოპედაგოგიკის სფეროში უკავშირდება **მეცნიერული მიმართულება**, რომელიც ამა თუ იმ ენას შეისწავლის იმ ასპექტით, რომ მისი სწავლება შეიძლებოდა მათთვის, ვისთვისაც იგი მეორე, ანუ არამშობლიური ენაა.

როგორც ენათა შესწავლის პრაქტიკამ გვიჩვენა, ენის ჩვეულებრივი ლინგვისტიკური აღწერა ვერ გამოდგება იმავე ენის სწავლებისას, როცა იგი უცხო ენაა. უცხო ენის შესწავლა, აღქმის თვალსაზრისით, ამ ენის ლინგვისტურ მოვლენათა თავისებური ხედვით ხასიათდება, რაც მშობლიური ენის გავლენითაა გამოწვეული. მეთოდოლოგიაში ლინგვისტიკისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა ენის ათვისების დიდაქტიკური პრინციპი, რომელიც ასახავს ენის შინაგანი აგებულების წესებსა და მათი გამოყენების საშუალებებს, რამაც ასახვა პოვა საბაზისო ინგლისურისა (Basic English) და ფუნდამენტური ფრანგულის (Français fundamental) პროექტებში, აგრეთვე, გრამატიკული და ლექსიკური მოვლენების კლასიფიკაციათა სხვადასხვა ცდაში, სადაც ეს მოვლენები დაყოფილია ორ რიგად. პირველში შედის მოვლენები, რომლებიც აუცილებელია უცხო ენის

ფლობისათვის, მეორე რიგში კი განიხილება ისეთი მოვლენები, რომელთა უგულვებელყოფა გარკვეულ დრომდე შესაძლებელია.

შესაქმნელია ე. წ. „საბაზისო ქართული“ (Basic English-ის მსგავსი). ზოგიერთ სახელმძღვანელოსა და „სასაუბროში“ გვხვდება სპონტანური და სუსტი ცდები ამ მიმართულებით, თუმცა პრობლემის მთლიანობაში გააზრება და სისტემური მიდგომა ჯერჯერობით არ ჩანს, საკითხი დღემდე მეცნიერულად დაუმუშავებელია. საბაზისო ქართულის შემოფარგვლის პრობლემა უნდა გადაწყვიტოს ახალმა მეცნიერულმა მიმართულებამ, რისთვისაც შესაბამისად უნდა იქნეს შერჩეული და განმარტებული ქართული ფონეტიკის, გრამატიკის, სიტყვაწარმოების, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკისა და სხვა საკითხები.

დასახელებული მიმართულებისათვის მნიშვნელოვანია აქტიური გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენა, რომლებშიც ფორმალურად განსხვავებული მოვლენები მოწოდებული იქნება ერთად, თუ მათ აერთიანებთ ფუნქცია და მნიშვნელობა. ვერ ვიტყვით, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში გვაქვს მეტყველების მასინთეზირებული აქტიური გრამატიკები. ასევე საგრძნობია აქტიური სასწავლო ლექსიკონების ნაკლებობაც. მართალია, ცალკეული თემებისათვის აღნიშნული ტიპის გრამატიკული და ლექსიკური მასალა ჩართულია ხოლმე არაქართველთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის; დღემდე არ შექმნილა იმგვარი სასწავლო რესურსები, რომ მოცემული ამოცანის შესრულებისათვის სავსებით დამაკმაყოფილებელი იყოს. საერთოდ, მშობლიური ენის სასკოლო გრამატიკაც, თუ იგი ენის სწავლებას ისახავს მიზნად და არა ამ ენის შესახებ გარკვეული მეცნიერული ცოდნის მიწოდებას, ვფიქრობთ, რომ ფუნქციური უნდა იყოს, რადგან აღნიშნული ტიპის გრამატიკები სემანტიკურ კატეგორიათა აღწერას მოიცავს და მიმართულია იმ გრამატიკული ფორმებისა თუ კონსტრუქციების კანონზომიერებათა აღწერაზე, რომლებიც ენის სისტემის სხვადასხვა ერთეულებთან ურთიერთქმედებით მონაწილეობენ გამონათქვამის შინაარსის გადმოცემაში.

მართალია, ყოველი გრამატიკა, მათ შორის ფორმალურიც, რომელიც თანმიმდევრულად მიმართულია ფორმიდან მნიშვნელობისაკენ, საშუალებიდან – ფუნქციისაკენ, ასე თუ ისე ფუნქციურ ასპექტსაც შეიცავს, მაგრამ თუ გარკვეულ აღწერას საპირისპიროდ

წარვმართავთ – სემანტიკური კატეგორიიდან მისი გამოხატვის ფორმალური საშუალებებისაკენ, მხოლოდ მაშინ მივიღებთ ფუნქციურ გრამატიკას, რომელიც სწორედ თავისი მიმართულებით იქნება მეორე ენის სწავლებისას უფრო რაციონალური და შედეგიანი.

2. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეცნიერული ბაზისისათვის

ახალმა მიმართულებამ გარკვეულ პრინციპებზე დაყრდნობით მეცნიერული საფუძველი უნდა მოამზადოს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისათვის. ამ პრინციპთაგან რამდენიმეს მოკლედ მიმოვიხილავთ.

პირველი პრინციპი არის ენის კომპრესიისა და მინიმინიზაციის პრინციპი, რომელსაც კომენსკის სახელს უკავშირებენ. წარმოშობით დასახელებული პრინციპი დიდაქტიკურია, მაგრამ შინაარსით იგი უმნიშვნელოვანეს ლინგვისტიკურ ცნებას წარმოადგენს. თვით ენათმეცნიერთა მიდგომა შესასწავლი ობიექტისადმი აღინიშნება მისწრაფებით, გამოიყოს პირველადი და მეორეული ფუნქციები ყოველ გრამატიკულ კლასში. მაგალითად, სახელისათვის პირველადი სემანტიკური ფუნქციაა საგნის დასახელება, ზმნისათვის – მოქმედების აღნიშვნა. პოლისემიური სიტყვისათვის პირველადი სემანტიკური ფუნქციაა პირდაპირი მნიშვნელობის გამოხატვა, მეორეული – მნიშვნელობის გადატანა და ა. შ. ზემოაღნიშნული პრინციპით ენის ბუნებრივი შესწავლა უნდა მიემართებოდეს ცენტრიდან პერიფერიისაკენ, პირველადი ფუნქციებიდან მეორეული ფუნქციებისაკენ და არა პირიქით.

მეორე პრინციპია ლექსიკურ-გრამატიკული მასალის ორგანიზების პრინციპი სინტაქსის საფუძველზე. მართლაც, სინტაქსი ძირითადი სფეროა, სადაც ვლინდება ენის საკომუნიკაციო ფუნქცია, რამდენადაც მის დასრულებულ კონსტრუქციებში – წინადადებებში – დასრულებას პოვებს ჩამოყალიბებული აზრი და შეიძლება გამოთქმულ იქნეს ძირითადი სინტაქსური ერთეულები, ანუ წინადადების წევრები. თავის მხრივ, წინადადების წევრებს შორის მიმართება ვლინდება არა მარტო სინტაქსური ნიშნების მეშვეობით, არამედ მათი ინდივიდუალური გაფორმების – სიტყვის მორფოლოგიის – მე-

შვეობითაც. თავისთავად სიტყვათა ფორმალური მაჩვენებლებით ვერ განვსაზღვრავთ ამა თუ იმ ერთეულის ადგილს ენის სისტემაში (შდრ. „არავინ მოსულა **დღეს**“: „ველოდებით ამ **დღეს**“), ამისათვის აუცილებელია ორიენტაცია სინტაქსურ ფუნქციაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოვლენილია მორფოლოგიის დამოკიდებულობა სინტაქსზე, რაც კატეგორიული ფორმით ჯერ კიდევ ფერდინანდ დე სოსიურმა ასე ჩამოაყალიბა: „ლინგვისტიკური თვალსაზრისით, მორფოლოგიას არ გააჩნია შესწავლის საკუთარი რეალური და დამოუკიდებელი ობიექტი. მას არ შეუძლია სინტაქსისაგან განსხვავებული დისციპლინა შექმნას“. ედუარდ სეპირის აზრით კი, მას მორფოლოგია საშუალებად მიაჩნდა, რათა სინტაქსურ მიმართებათა გამოხატვას გაუგებრობა არ გამოეწვია.

მესამე პრინციპით გარჩეულია მეტყველების პროდუცირება და მეტყველების აღქმა, ე. ი., ერთი მხრივ, გვაქვს ლაპარაკის სწავლებისა და წერის სწავლების გარჩევა და, მეორე მხრივ, აუდირებისა და კითხვის გარჩევა. აქედან გამომდინარე, მოცემული მეცნიერული მიმართულების ლინგვისტურ საფუძველში გათვალისწინებული უნდა იყოს ენის სინთეზისა და ანალიზის მოდელები.

მეოთხე პრინციპი ფუნქციურ-სტილისტიკურია, ანუ ისწავლება არა აბსტრაქტულად მეტყველება, არამედ: სასაუბრო, სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ენის გამოყენების ფუნქციურ-სტილისტიკური პრინციპი სამეტყველო მოქმედებაში ენის მართებული გამოყენების ტრადიციული ფორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც კომუნიკაციურ-სიტუაციური პრინციპი. მისი მოქმედება გულისხმობს სამეტყველო ფორმულათა სასწავლო ლექსიკონების, ტიპობრივ-სიტუაციური რეპლიკებისა და ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონების შექმნას. ამასთანავე, სამეცნიერო-ტექნიკური ფუნქციური სტილის დაუფლებისათვის აუცილებელია არა მარტო საერთო სამეცნიერო ლექსიკონის სიტყვახმარების ლექსიკონები, არამედ ტერმინოლოგიური ლექსიკონ-მინიმუმებიც.

მეხუთე პრინციპი წარმოადგენს შემსწავლელთა მშობლიური ენის გავლენის გათვალისწინებას. იგი განეკუთვნება შეპირისპირებითი (კონფრონტაციული, კონტრასტული, ტიპოლოგიური) კვლევების სფეროს. აღნიშნული პრინციპის შემუშავებას ეძღვნება უცხოელ ენათმეცნიერთა მრავალი ნაშრომი. აქ ნიშანდობლივია ის გარე-

მოება, რომ უცხო ენის ბევრი თავისებურება, რომელიც ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის ხშირად შეუმჩნეველია, უცხოელთა ყურადღებას იქცევს, როცა ისინი უცხო ენას როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულადაც შეისწავლიან. შექმნილია საკმაოდ განშტოებული კონფრონტაციული, კონტრასტული და შეპირისპირებითი ტიპოლოგიური გრამატიკებისა და ლექსიკონების ნომენკლატურა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში კონფრონტაციულს უწოდებენ ისეთ შეპირისპირებით გრამატიკებს (ან ლექსიკონებს), რომლებშიც ეკვივალენტაციისა და კომპენსაციის გზით თანამიმდევრულადაა შეპირისპირებული და თარგმნილი ორი ენის გრამატიკული ფორმები, კატეგორიები, სინტაქსური კონსტრუქციები (ლექსიკონში – სიტყვები და გამოთქმები). ძველი ტერმინოლოგიით ამ ტიპის ლექსიკონებს „ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონები“ ეწოდებოდა, ხოლო გრამატიკებს – „შეპირისპირებითი გრამატიკები“.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები „კონფრონტაციული გრამატიკა“, „კონფრონტაციული ლექსიკონი“ უპირისპირდება ტერმინებს „კონტრასტული გრამატიკა“, „კონტრასტული ლექსიკონი“, რომლებშიც შედის მკვეთრად განსხვავებული, ე. ი. კონტრასტული გრამატიკული ფორმები, კატეგორიები, სინტაქსური მოდელები, სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც სხვადასხვა ენაში ენათა განსხვავებული შინაარსის გამო შინაარსობრივად განსხვავებულია. კონტრასტული კვლევისათვის არ არის საინტერესო კონსტრუქციათა შემდეგი შედარება: I love you „მე შენ მიყვარხარ“, I like you „მე შენ მომწონხარ“, ასევე „Я тебя (вас) люблю“, მაშინ როდესაც „I like you“ და „Ты мне нравишься“ ქართული ენის მასწავლებლისთვის საინტერესოა.

კონტრასტულ ლექსიკონებს ადრე „სიმნელეთა ლექსიკონებს“ უწოდებდნენ; დიალექტურ ლექსიკოლოგიაში „კონტრასტული“ „დიფერენციალურის“ სახელითაა ცნობილი.

ენის შემსწავლელთა დედაენის გათვალისწინება ხდება სასწავლო ლექსიკოგრაფიაშიც, სადაც იგი ორგვარად აისახება: პირველი – მშობლიური ენის გავლენა იმდენად ძლიერია კომპრესიასა და მინიმიზაციაზე, რომ უნივერსალური ლექსიკური მინიმუმების გამოყენება აქ საიმედო არ ჩანს; მეორე – შემსწავლელთა ენის გათვალისწინება მოითხოვს ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ერთენოვანი და ორენოვანი სასწავლო ლექსიკოგრაფია მეთოდოლოგიური თვალსაზრის-

სით. შესასწავლი ლექსიკის სემანტიზაცია ყველაზე გავრცელებული, მარტივი და მოსახერხებელი საშუალებაა, იგი კვლავინდებურად ტრადიციისამებრ ითარგმნება მშობლიურ ენაზე, მაგრამ ამავე დროს არსებობს ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონები, რომლებიც შესასწავლ ენაზე შექმნილ სხარტ და მარტივ დეფინიციებს შეიცავენ. ამგვარი სპეციალურად შექმნილი ლექსიკონები ძალზე საჭირო და სასარგებლოა სწავლების პროცესში.

მეექვსე პრინციპი სინქრონიულობაა, მაგრამ ცხადია, არა ანტიისტორიზმი. მართალია, საინტერესო ეტიმოლოგიებს, წარსულის გარკვეულ კვლებს საერთო ლექსიკაში თავიანთი ღირებულება აქვთ, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, უცხოელთათვის განკუთვნილი ლექსიკონები და გრამატიკები სინქრონიული უნდა იყოს.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებისათვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სპეციფიკური სინქრონიული აღწერა გვექონდეს, რისთვისაც ახალი მეცნიერული მიმართულებების („ქართული, როგორც უცხო ენა“) ფარგლებში ენათმეცნიერული კვლევები თავისებურად უნდა წარიმართოს, კერძოდ ისე, რომ

- გარჩეულ იქნეს ცენტრალური და პერიფერიული მოვლენები, ანუ პირველადი და მეორეული ფუნქციები (ენის, მეტყველებისა და სამეტყველო მოქმედების კომპრესია და მინიმინიზაცია);
- ენა, მეტყველება და სამეტყველო მოქმედება განიხილებოდეს დილექტიკურ ერთიანობაში; ლექსიკურ-გრამატიკული მასალის ორგანიზაცია ხდებოდეს მეტყველებისა და კომუნიკაციის საფუძველზე;
- გარჩეულ იქნეს ენის წარმომშობი და მადეკოდირებელი მოდელები (ვგულისხმობთ მეტყველების, წერის, აუდირებისა და კითხვის ლინგვისტური თავისებურებების გამოკვლევას);
- მიღწეულ იქნეს ფუნქციურ-სტილისტიკური და კომუნიკაციურ-სიტუაციური კონკრეტულობა. კომუნიკაცია, როგორც ასეთი, ენის პრაქტიკული ცოდნის საფუძველი და კრიტერიუმი უნდა გახდეს;
- გათვალისწინებულ იქნეს შემსწავლელის მშობლიური ენის გავლენა მეორე ენის შესწავლის პროცესზე.

მართალია, აღნიშნულ ლინგვისტიკურ მიმართულებას პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათი აქვს, მაგრამ იგი ამავე დროს წარმოაჩენს ახალ კავშირებს ლინგვისტიკასა და მეთოდიკას შორის, წარმოაჩენს სხვადასხვა აღწერათა ურთიერთმიმართებებს, რასაც უსათუოდ აქვს თეორიული მნიშვნელობა, როგორც შეპირისპირებითი, ისე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

3. გაგებისა და გაგებინების შესახებ

მეორე ენის სწავლება-შესწავლისას პირველი რიგის სირთულეს წარმოადგენს ზეპირი მეტყველების როგორც გაგება, ისე გაგებინება. პირველ შემთხვევაში უჭირს მსმენელს, მეორეში – მოლაპარაკეს. ცნობილი ფაქტია, რომ შემსწავლელებს, როგორ მკაფიოდაც უნდა მეტყველებდეს მოლაპარაკე, თავდაპირველად ენის შესწავლისას მოსმენილის გაგება უჭირთ. დრო სჭირდება ყურის გაჩვევას, აუცილებელია, რომ მოლაპარაკე საგანგებოდ ცდილობდეს განსაკუთრებით უცხო ბგერების მართებულად წარმოთქმას, სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექსტის გასაგებობა როგორც ფონოლოგიურად, ისე აზრობრივად.

გაგება უშუალოდ მნიშვნელობას უკავშირდება, ხოლო მნიშვნელობა დაკავშირებულია კონტექსტთან. ტრადიციული დეფინიციით კონტექსტი აზრობრივად დასრულებული წერილობითი ან ზეპირი მეტყველების მონაკვეთია, რომელიც აუცილებელია მასში შემავალი ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის აზრის განსაზღვრისათვის. სემანტიკურ თეორიათა რაციონალური მიმართულებისათვის ნიშანდობლივია მსჯელობა: „წინადადების ბუკვალური მნიშვნელობა ის მნიშვნელობაა, რომელიც მას აქვს რაიმე კონტექსტისგან დამოუკიდებლად და დიაქრონიული ცვლილებების მიუხედავად; იგი ინარჩუნებს ამ მნიშვნელობას ნებისმიერ კონტექსტში, სადაც იგი წარმოითქმება“ (ჯ. სერლი).

ფაქტობრივად ეს ორი შეხედულება გამოხატავს იმ ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაჰყვებოდა ჰერმენევტიკას. არ წყდება კამათი მათ შორის, ვინც მნიშვნელობას ტექსტში ეძებდა და ვინც მიიჩნევს, რომ ტექსტის მნიშვნელობა გაგების პროცესშია ჩაფხვნილი, სადაც მთავარი მნიშ-

ვნელობა ტექსტს, მის წარმოქმნასა და ინტერპრეტაციას აქვს. ამ კამათის პარალელები ჩანს თანამედროვე ლინგვისტიკური და სემანტიკური პრობლემების განხილვისასაც.

ფორმალურ-ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ლიტერალურ მნიშვნელობას ემყარება, თავიანთი მოდელის ნიმუშად მათემატიკის ენას იღებენ, რომელშიც მტკიცებულების ჭეშმარიტება გარეკონტექსტსა და სიტუაციაზე დაუყრდნობლად შეიძლება განისაზღვროს. ჰერმენევტიკის ამ ფრთისათვის იდეალურ შედეგად ითვლება ტექსტის სრული „დეკონტექსტუალიზაცია“, ანუ ტექსტს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რომელიც არსებობს ინტერპრეტაციის აქტის გარეშე.

ალტერნატიული შეხედულების თანახმად, რომელიც ყველაზე ნათლად გადამერმა ჩამოაყალიბა, პირველადი არის ინტერპრეტაციის აქტი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთქმედებას ტექსტით მოცემულ ჰორიზონტსა და ინტერპრეტატორის მიერ შემოყვანილ ჰორიზონტს შორის. გადამერს მიაჩნია, რომ ტექსტის ყოველი წაკითხვა თუ მოსმენა ამ ტექსტის მნიშვნელობით აღჭურვის აქტია, რომელიც ინტერპრეტაციის პროცესში ხორციელდება.

გადამერის მიდგომაში აღიარებულია ჰერმენევტიკული წრის გარდაუვალობა. ინდივიდუალური ტექსტის მნიშვნელობა კონტექსტითაა მოცემული, იგი დამოკიდებულია ინტერპრეტაციის მომენტზე და ინტერპრეტაციის მიერ შემოყვანილ ჰორიზონტზე, რომელიც ენაში ურთიერთქმედებათა ისტორიის პროდუქტია. ეს ურთიერთქმედებანი თავად წარმოადგენენ ტექსტებს, რომელთა გაგება აუცილებლობით წინარეგაგებას გულისხმობს. ის, რაც გვესმის, ეფუძნება იმას, რაც ჩვენ უკვე ვიცით, ხოლო რაც ჩვენ ვიცით, განისაზღვრება გაგების ჩვენი უნარით. მნიშვნელობა რელატივიზებულია იმასთან მიმართებით, რაც გაგებული იქნება ტრადიციის მეშვეობით. იმის უმეტესი ნაწილი, რაც სამეტყველო ურთიერთობისას გამოითქმება, ეფუძნება არა გამოცდილებას და არა ლოგიკას, არამედ წინამავალ ურთიერთობას. სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ტერი ვინოგრადი (ხელოვნური ინტელექტის მკვლევარი, კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალისტი) და ჩილეელი ფილოსოფოსი ფერნანდო ფლორესი ერთობლივ ნაშრომში „კომპიუტერთა გაგებისა და შემეცნების შესახებ“ წერენ: „იმას, რომ წყალი H₂O-ა და რომ ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორი იყო, აღვნიშნავთ არა

იმიტომ, რომ შესაბამისი გამოცდილება გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ ვიღაცამ გვითხრა ეს. დასაბუთების ერთ-ერთი შესაძლო ფორმა მდგომარეობს „ესტაფეტის გადაცემაში“, რაც შესაძლებლობას იძლევა ვიფიქროთ, რომ ეს გამონათქვამი შეიძლება დაესაბუთებინა ნებისმიერს, ვინც ადრე გამოთქვა აღნიშნული მტკიცებულება“.

აქ დგება საკითხი ფონური ცოდნის შესახებ, რომელიც ყველგან და ყოველთვის მსუფვეი ფუნდამენტური მოვლენაა და რომლის გარეშე ვერ განხორციელდება გაგება. ყოველი სამეტყველო აქტი ხორცს ისხამს რაიმე კონტექსტში, რომელიც მოლაპარაკისა და მსმენელისათვის საერთო ფონური მნიშვნელობებითაა დატვირთული. სამეტყველო ურთიერთობის წარმატების პირობებს ურთიერთგასაგები ცოდნა ქმნის. არაარტიკულირებულ ფონურ დაშვებებზე დაყრდნობის გარეშე შეიძლება გავიგოთ ძალიან უმნიშვნელო ნაწილი იმისა, რასაც ჩვენ ყოველდღიურობაში ვხვდებით მეტყველების წერილობითი თუ ზეპირი ფორმების სახით. მაგალითისთვის გავიხსენოთ ეპიზოდი „კაცია-ადამიანიდან“:

„ – აბა, ჩემო ღვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო! ქალია თუ ვაჟი? – ჰკითხა მოსე გმელაძემ.

– ვაი, რომ ქალია – უპასუხა შეწუხებულსავით სუტ-კნეინამ.

– როგორ? არ ირთავს?

– არა“.

ამ დიალოგის მონაწილეთა ურთიერთგაგებას საფუძვლად უდევს გამოთქმის „ქალია თუ ვაჟი?“ მნიშვნელობის ცოდნა, რაც არც მისი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობებს და არც წარმოდგენილ კონტექსტს არ უკავშირდება.

ამგვარად, ფონური ცოდნა წარმოადგენს შესაძლებლობათა სივრცეს, რომელიც საშუალებას იძლევა გავიგოთ ის, რაც იყო ნათქვამი და ისიც, რაც ნათქვამი არ ყოფილა. გამოუთქმელიც ისევე წარმოადგენს მნიშვნელობის ნაწილს, როგორც ის, რაც გამოთქმულია, თვით ენობრივი ფორმა კი კონკრეტულ შემთხვევებში გარკვეული ფონური ცოდნის ფარგლებში ინტერპრეტაციის სტიმული უფროა, ვიდრე ინფორმაციის მატარებელი.

სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტით ზუსტდებაო, – ვამბობთ, მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც ამ კონტექსტთან, ამ მომენტსა და ამ სიტუაციასთან, ამ მიზანთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ მუდმივი კონტექსტია, ანუ სამყაროზე ჩვენი წარმოდგენებისა და

ჩვენი ცოდნების ერთობლიობაა – თეზაურუსია, სამყაროს სურათია. ჰაიდეგერის მოძღვრებასთან ახლო ტერმინებით რომ ვთქვათ: ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს სამყაროსთან, როგორც ისეთ რამესთან, სადაც უკვე ვიღაც ცხოვრობდა და მოქმედებდა. სამყარო, როგორც სიცხადის ფონი, ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ მოქმედებაში ნაცნობის ფენომენის სახით, რომელიც ავსებს სიტუაციას, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და ეს უდევს საფუძვლად ყოველ შესაძლო გამონათქვამს. ყოველივე ამის გათვალისწინება შეუძლებელია ენის აღწერითი მოდელებით, მხოლოდ ფუნქციურ მოდელებში შეიძლება იყოს გააზრებული მეტ-ნაკლებად არასამეტყველო კონტექსტი, რომლის შესწავლა ლინგვისტიკისათვის პერიფერიულ მოვლენად ითვლებოდა, თუმცა ენათმეცნიერისთვისაც, რომელიც ენას იკვლევს და ენის რიგითი მატარებლისთვისაც, რომელიც იყენებს ენას, ყოველთვის ნათელია, რომ ადამიანთა სამეტყველო ურთიერთობა დაკავშირებულია სამეტყველო და არასამეტყველო კონტექსტებთან, რაც დიდ როლს თამაშობს მეტყველების როგორც წარმოქმნაში, ისე მის გააზრებულ აღქმაში. ენათმეცნიერისათვის ტრივიალურია დაკვირვება, რომ ერთი და იგივე სამეტყველო გამონათქვამი, სხვადასხვა ან ერთი და იმავე ადამიანის მიერ წარმოთქმული სხვადასხვა სიტუაციაში, არაერთნაირად გაიგება. ერთი და იმავე გამონათქვამის სხვადასხვაგვარი გაგების ფენომენი, რომელიც უგულებელყოფილია ენის სისტემის ანალიზისას, ანუ კვლევის ობიექტის იდეალიზაციის სტანდარტული პროცედურის პროცესში, თეორიულ ახსნას მოითხოვს, მაშინ როდესაც, ექსპერიმენტული კვლევის ობიექტი ხდება არა სისტემა, არამედ ტექსტი, გამონათქვამი და იძულებული ვართ, ვაღიაროთ, რომ მათი გააზრება დეტერმინირებულია ცვლადი ფაქტორებით. ახალი ობიექტის – კომუნიკანტთა არავერბალური ქცევის – წინაშე დამდგარი ენათმეცნიერი იძულებული ხდება ხან „სალი აზრისთვის“ მიემართა, რითაც მეცნიერული პარადიგმის მიღმა რჩებოდა, ხან დაკმაყოფილებულიყო სოციოლოგიისა და ფილოსოფიის თეორიული წარმოდგენებით კომუნიკაციის შესახებ ან ბოლოს და ბოლოს ლინგვისტიკური მეთოდოლოგიის (გვულისხმობთ კონტექსტურ სემანტიკას) დონე მოესინჯა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს პრობლემა, რომლის ფარგლებშიც შეისწავლება ურთიერთობა, პრობლემა, რომელსაც ლინგვისტიკაში სხვადასხვა სახელი აქვს: „მოცემული და ახალი გამონათქვამში“, „მოდუსი და დიქტუმი“

(შ. ბალი), „გამონათქვამის თემურ-რემული დანაწევრება“ (ვ. მათე-ზიუსი). მათეზიუსის კონცეფციამ რემა-თემური დანაწევრების შესახებ ნიადაგი მოუმზადა პრესუპოზიციის ცნების დამკვიდრებას ენათმეცნიერებაში. მას ფართოდ იყენებენ გამონათქვამთა გაგების პროცესის აღწერისას, ამ ცნებამ განვითარება პოვა ლინგვისტიკურ პრაგმატიკაში, სადაც განასხვავებენ „ეზისტენციურ პრესუპოზიციას“ და „არაეზისტენციურს“ და მათ გვერდით – ლექსიკურსა და არალექსიკურს, სიტუაციურსა და სხვ. აქ ლაპარაკია კომუნიკაციური ხასიათის პრესუპოზიციაზეც, რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა დავუკავშიროთ ე. წ. კომუნიკაციური უნარიც. კომუნიკაციური უნარის პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის წანამძღვრები, როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, უწინარეს ყოვლისა, ფსიქოლოგიაში, ჟ. პიაჟესა და ლ. ვიგოტსკის ნაშრომებში მოიპოვება. უფრო მოგვიანებით აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა, როგორც რეაქცია ჩომსკის ენობრივი უნარის ცნებაზე.

ჩომსკის მიხედვით, ენობრივი უნარი არის მოლაპარაკე-მსმენელის უნარი წარმოქმნას და გაიგოს გრამატიკულად სწორი წინადადებები. მაგრამ სამეტყველო ურთიერთობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ გრამატიკულად სწორ წინადადებათა აგების წესების ცოდნა ისევე, როგორც სიტყვათა მხოლოდ ბუკვალური მნიშვნელობის ცოდნა არ კმარა. გარდა ამისა, აუცილებელი არის ის, რომ მოლაპარაკე ურთიერთობის ამოცანების ადეკვატურად ახდენდეს ზემოქმედებას თანამოსაუბრეზე და შესაფერისად იყენებდეს ენობრივ გამონათქვამებს. კომუნიკანტის უნარი, რომლის საშუალებითაც იგი ურთიერთობის ამოცანების შესაბამისად წარმართავს თავის სამეტყველო და არასამეტყველო ქცევას – არის სწორედ კომუნიკაციური უნარი. ენობრივი უნარი და კომუნიკაციური უნარი გენეტიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია. მათი, როგორც უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების, ჩამოყალიბება დეტერმინირებულია მოღვაწეობით. დეტერმინაცია ხდება ან უშუალოდ, როცა პიროვნება ჩართულია საქმიანობის ამა თუ იმ სახეობაში, ან მენტალური განვითარების იმ პროცესების მეშვეობით, რომლებიც აისახება ენის ფლობის დონეზე.

ამგვარად, გაგება-გაგებინების ლინგვისტიკური პრობლემატიკა მოიცავს სამეტყველო და არასამეტყველო კონტექსტის, გამონათქვამის საზრისის, კომუნიკაციური სიტუაციურობის, წინადადე-

ბის თემა-რემული დანაწევრების, პრესუპოზიციისა და კომუნიკაციური უნარის პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მეორე ენის სწავლების შედარებით მაღალ საფეხურზე უნდა ვივარაუდოთ.

4. კომუნიკაციური დინამიზმი, როგორც ტექსტის მორგანიზებელი საშუალება

დამხმარე მეტყველების ნაწილებს დიდი როლი აქვთ გამონათქვამის კომუნიკაციურ ორგანიზებაში, ამდენად, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროცესში მათი პრაგმატიკული ფუნქციის გაცნობას.

უცხოურ ენათმეცნიერებაში, ჩვეულებრივ, არ არის გავრცელებული დამხმარე მეტყველების ნაწილთა დაპირისპირება მეტყველების სრულმნიშვნელოვან დამოუკიდებელ ნაწილებთან; შესაბამისად, არც ტერმინები აქვთ, მაგრამ ზოგჯერ გამოყოფენ მიმართებით სიტყვათა კატეგორიას, რომელსაც მიაკუთვნებენ, მაგალითად, ნაწევარს, წინდებულს / თანდებულსა და კავშირებს, მაშინ როდესაც, ნაწილაკებს ზმნისართის სახეობად მიიჩნევენ. დამხმარე სიტყვათა ჯგუფი მდგრადი არ არის. მაგალითად, ფრანგული ლინგვისტიკური ტრადიციის მიხედვით დამხმარე სიტყვებს მიაკუთვნებენ კავშირებს, წინდებულებსა და ნაცვალსახელებს, რუსული ენათმეცნიერების ისტორიაშიც მერყევია ამ კორპუსის შემადგენლობა. მაგალითად, თ. ი. ბუსლაევი თვლიდა, რომ აღნიშნულ ჯგუფში უნდა შედიოდეს ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, წინდებულები, კავშირები, ნაცვალსახელოვანი ზმნისართები, დამხმარე ზმნები; ა. მ. პეშკოვსკი მხოლოდ წინდებულებსა და კავშირებს ასახელებს, ლ. ვ. შჩერბა – ზმნურ სართებს, წინდებულებს, კავშირებს, მაკავშირებელ სიტყვებს. რუსული აკადემიური გრამატიკა ემყარება ვ. ვ. ვინოგრადოვს, რომელიც დამხმარე სიტყვებად გამოყოფს ნაწილაკებს, წინდებულებსა და კავშირებს. ანალოგიურია აკაკი შანიძის მოსაზრებაც, რომლის თანახმად, გარდა თანდებულის, კავშირისა და ნაწილაკისა, ძველი ქართულისთვის ნაგულისხმევია ნაწევარიც. აკაკი შანიძე მათ მხლებლებს უწოდებს. გავიხსენოთ თითოეული მათგანის განმარტება:

კავშირი – დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობას სხვა სიტყვებთან ხმარებით იძენს. იგი აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას.

ნაწილაკი – დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი თუ სიტყვა, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრივ.

თანდებული – დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რათა აღნიშნოს მდებარეობა, მიმართულება, დანიშნულება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან.

ამგვარად, „დამხმარე სიტყვები სხვა სიტყვებთან ერთად იძლევიან გარკვეულ მნიშვნელობას, ცალკე კი არც რაიმე საგანზე მიგვითითებენ, არც თვისებას გვანიშნებენ, არც მოქმედება-მდგომარეობას, არც ადგილზე მიუთითებენ, არც დროზე“ (არნ. ჩიქობავა).

ამ განმარტებებიდან გამომდინარე, დამხმარე სიტყვები, როგორც ლექსემები ნომინაციურ მნიშვნელობას მოკლებული არიან, რადგან ვერ ასახელებენ საგანს, ნიშანს, თვისებას, მოქმედებას. მათი ლექსიკური მნიშვნელობა არის იმ მიმართებათა განყენება, აბსტრაქცია, რომლებსაც ისინი წინადადებაში გამოხატავენ. დამხმარე სიტყვებს არ გააჩნიათ სემანტიკური ერთობის საფუძველი, მათი ერთობა ფუნქციურია, გრამატიკულია, რითაც ისინი მორფემებს (სუფიქსებს, ფლექსიებს) ემსგავსებიან და უპირისპირდებიან სრულმნიშვნელოვან სიტყვებს. ამ უკანასკნელთაგან ისინი იმითაც გამოირჩევიან, რომ არ გააჩნიათ მორფოლოგიური კატეგორიები და სინტაქსურ კონსტრუქციებში მხოლოდ დამხმარე სინტაქსურ ფუნქციებს ასრულებენ (ნაწილაკებისათვის დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სუბიექტური მოდალობის სხვადასხვა ელფერსაც გამოხატავენ). მაგრამ ამით არ ამოიწურება მხლებელთა დანიშნულება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მათს სემანტიკაში ჭარბობს მნიშვნელობის სინტაქსური ტიპი, ისინი წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტებსაც წარმოადგენენ.

მაგრამ რას წარმოადგენს წინადადების ინფორმაციული სტრუქტურა, რომელსაც ერთნი აქტუალურ დანაწევრებას უწოდებენ, სხვები – წინადადების ფუნქციონალურ პერსპექტივას (ი. ფირ-

ბასი), აგრეთვე, ლოგიკურ გრამატიკულ დონეს (ვ. ზ. პანფილოვი), წინადადების წევრთა კომუნიკაციურ დატვირთვას და სხვ., რა მიმართებაშია იგი ფორმალურ გრამატიკულ სტრუქტურასთან.

ინფორმაციული სტრუქტურის არსის წმინდა ლინგვისტური განმარტების ამსახველი მოდელები საკმაოდ ბევრია (მაგ., ა. კიზირიას, ნ. კიზირიას, ლ. ენუქიძის ნაშრომები). ამ მხრივ განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა პრადის ლინგვისტიკური სკოლა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვ. მათეზიუსის კონცეფცია წინადადების ფუნქციური ანალიზის შესახებ გამონათქვამს განიხილავს მხოლოდ მასში არსებული ინფორმაციის თვალსაზრისით. სახელწოდებაც „აქტუალური დანაწევრება“ სწორედ იმას გახაზავს, რომ ეს დანაწევრება ტრადიციული და მუდმივი დანაწევრებისაგან განსხვავებულია. იგი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ჩაერთვება სამეტყველო სიტუაციაში. ინფორმაციული სტრუქტურის ლინგვისტიკურმა თეორიამ შემდგომი განვითარება მათეზიუსის მოწაფეთა (ი. ფირბასი, ფ. დანეში, ე. ბენეში, ე. დვორჟაკოვა, კ. პალა...) შრომებში პოვა, სადაც ინფორმაციულმა სტრუქტურამ „წინადადების ფუნქციური პერსპექტივის“ სახელწოდება მიიღო.

აზრობრივი დანაწევრების ბინარულ თეორიებზე უფრო მოქნილი ჩანს, ჩვენი აზრით, ფირბასის კონცეფცია, რადგან იგი არ მოითხოვს თემისა და რემის აუცილებელ გამიჯვნას. როგორც ცნობილია ლინგვისტიკური ანალიზისას მათ შორის საზღვრის გავლება ხშირად შეუძლებელიც კია. ფირბასი ენობრივ კომუნიკაციას აფასებს როგორც დინამიკურ პროცესს. ეს აძლევს მას საშუალებას განიხილოს გამონათქვამის ელემენტები, როგორც ხაზოვანი თანამიმდევრობით ერთმანეთის მიყოლებით წარმოდგენილი ენობრივი ერთეულები, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის თანდათანობით გადაცემას. გამონათქვამის აზრობრივი სტრუქტურის შემქმნელ ელემენტთა განლაგება, სინტაქსურს კი არა, სიტყვათა სემანტიკურ რიგს ქმნის, რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს სინტაქსურ რიგს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ვიწროვდება მომდევნო წევრის აზრობრივი მოცულობა და ე. ი. ზუსტდება მისი მნიშვნელობა, მატულობს მისი სემანტიკური წონადობა, ანუ სემანტიკურ-კონტექსტური დატვირთვა ტექსტში. ფირბასი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, წინადადების რომელ წევრს გამოხატავენ აზრობრივი ელემენტები, მათი თანამიმდევრობა მინიმალური სე-

მანტიკურ-კონტექსტური დატვირთვის მქონე ელემენტებიდან მაქსიმალური დატვირთვის მქონე ელემენტებისკენ, უფრო დამახასიათებელია სლავური ენებისათვის, მაგრამ სხვა ენებში ასეთი თანამიმდევრობა – სვლა თემიდან რემისაკენ არ წარმოადგენს ინფორმაციის გამოხატვის ერთადერთ გზას. ყოველ ენაში ამ მიზანს ემსახურება პროსოდიული, გრამატიკული და სემანტიკური საშუალებების მთელი კრებული. სემანტიკურ საშუალებათა რიცხვს განეკუთვნება ინფორმაციის მოცულობა, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა შეიცავს. სიტყვებს, რომლებიც მეტად ინფორმაციულია, მეტი შესაძლებლობა აქვთ შეასრულონ ტექსტში რემატული ფუნქცია. სიტყვის უნარს სემანტიკური წონადობისა და კონტექსტური კავშირების მეშვეობით და არა მხოლოდ წინადადებაში დაკავებული პოზიციის მიხედვით იყოს რემატული, ფირბასი კომუნიკაციურ დინამიზმს უწოდებს და მის ხარისხს განსაზღვრავს იმით, თუ რამდენად უწყობს ხელს ამ დინამიზმის მატარებელი ელემენტი ინფორმაციის გაშლას, წინადადებას კი განიხილავს როგორც კომუნიკაციური დინამიზმის ელფერთა გამას – ნულიდან მაქსიმალურ ხარისხამდე. კომუნიკაციური დინამიზმის უმცირესი ხარისხის მქონე ელემენტი საკუთრივ თემაა, უმაღლესი ხარისხის მქონე კი – რემა, ანუ წინადადების აზრობრივი ცენტრი. კომუნიკაციური დინამიზმის ხარისხის მატების მიხედვით ელემენტები სულ უფრო რემატული ხდებიან, რადგან იზრდება მათი სემანტიკურ-კონტექსტური, და ამდენად, კომუნიკაციური დატვირთვა.

ამგვარად, წინადადების ბინარული დანაწევრება თემად და რემად ფირბასის მოდელში იცვლება კომუნიკაციური დინამიზმის ელფერთა გამით. სიტყვებსაც თემატურობისა და რემატულობის ელფერთა სხვადასხვა ხარისხი აქვთ, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა სიტყვის სემანტიკური ტევადობა (წონადობა), მისი კონტექსტური კავშირები, ფრაზის გრამატიკული აგებულება, სიტყვის პოზიცია წინადადებაში.

აღნიშნული თეორიის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ წინადადების ამა თუ იმ ელემენტის კომუნიკაციური დინამიზმის ზუსტი განსაზღვრა სხვა ელემენტებთან მიმართებით ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან ეს განსაზღვრა მხოლოდ სემანტიკურ კრიტერიუმებს ეფუძნება და არ არსებობს ისეთი ფორმალური საშუალებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება წინადადებაში

კომუნიკაციური დატვირთვის სხვადასხვა ელფერის მკაცრი გაზომვა. მიუხედავად ამისა, წინადადების ფუნქციური პერსპექტივის მოდელი ნათლად წარმოგვიდგენს აზრობრივი დანაწევრების ლინგვისტურ არსს.

რა წარმოქმნის გამონათქვამის ინფორმაციულ სტრუქტურას? – წინადადება, რომელიც არ არის ჩართული კონკრეტულ სიტუაციაში და რომელიც ზოგადად ადრესატისათვისაა განკუთვნილი, არაფერს ინდივიდუალურს არ ასახავს, მაგრამ მაინც რაღაცას გვატყობინებს, წარმოადგენს კომუნიკაციურ ერთეულს, რომელიც რაღაც შინაარსს გამოხატავს. კონტექსტის უქონლობის მიუხედავად, ყოველთვისაა მითითებული შეტყობინების ამოსავალი წერტილი და აზრობრივი ცენტრი. რამდენადაც არსებობს წინადადება, იმდენადვე იგი რაღაცას გვამცნობს, ესე იგი, მასში ხორციელდება რაღაც ზოგადი კომუნიკაციური ამოცანა, რომელიც საცნაური ხდება შესაძლო კონტექსტში.

კონტექსტის გარეშე აღებულ ფრაზაში „დღეს მე კინოში წავალ“, აზრობრივი ცენტრი „წავალ კინოში“ ადვილი გამოსაცნობია უკონტექსტოდ აღებულ ნებისმიერ სწორად აგებულ წინადადებაში, გარდა ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურისა, რაღაც სქემის არსებობა იგრძნობა, რომლის მიხედვითაც იშლება შინაარსი და რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაციური ამოცანა (აღიქმება აზრობრივი ცენტრი), შეტყობინების ამოსავალი პუნქტი და მისი აზრობრივი ცენტრი. ეს კომპონენტები კონტექსტის გარეშე წარმოქმნიან წინადადების ინფორმაციულ სტრუქტურას.

გამონათქვამის წარმოქმნის ჩვეულებრივი აქტისას მას უჩნდება კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანა, შეპირობებული ისეთი ფაქტორებით, რომლებიც გამოწვეულია სწორედ მოცემული სამეტყველო სიტუაციით (გარკვეულ კონტექსტში ჩართვა, გარესინტაქსური კავშირების შექმნა, ექსპრესიული ამოცანის წამოჭრა, მოსაუბრის მიმართების გამოხატვა გამონათქვამთან, მისი სამეტყველო გამოცდილების თავისებურებანი და ა. შ.). ზოგად ამოცანაზე კონკრეტული, სიტუაციური, კომუნიკაციური ამოცანის დამატებამ შეიძლება სრულებით არ იმოქმედოს გამონათქვამად ქცეული წინადადების ფორმალურ-გრამატიკულსა და ინფორმაციულ სტრუქტურებზე. ეს მოხდება მაშინ, როცა კონტექსტი დაემთხვევა იზოლირე-

ბული წინადადების შემთხვევაში ნავარაუდევ კონტექსტს. მაგალითად „რას აპირებ დღეს?“, „დღეს მე წავალ კინოში“.

მაგრამ კონკრეტულმა კომუნიკაციურმა ამოცანამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება ინფორმაციულ სტრუქტურაში, მაგალითად, მაშინ, როცა კონტექსტში ჩნდება აუცილებლობა, ლოგიკურად და ემოციურად გამოიყოს არა ის აზრობრივი ჯგუფი, რომელიც კონტექსტის გარეშე აზრობრივ ცენტრად მიაჩნდათ – „გუშინ თქვენ ისვენებდით, დღეს მე წავალ კინოში“ (აზრობრივი ცენტრის გამოსაყოფად აქ გამოიყენება ინტონაცია, კონტრასტული მახვილი, შესაძლოა პარალინგვიზმიც).

კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის დამატებამ შეიძლება ცვლილება გამოიწვიოს ფორმალურ გრამატიკულ სტრუქტურაშიც – „დღეს კინოში წავალ მე“. აზრობრივი ცენტრი აქ სიტყვათა ინვერსირებული რიგით გამოიყოფა. გამოყოფა შეიძლება მოხდეს დამხმარე სიტყვების გამოყენებით, რომლებიც ლოგიკურ მახვილს გარკვეულ აზრობრივ ჯგუფებზე მოახვედრებენ. „გუშინ თქვენ ისვენებდით, დღეს კი მე წავალ კინოში“, „დღეს, დიახაც, მე წავალ კინოში“ – ამ წინადადებებში მოცემული ინფორმაცია დაკავშირებულია გამონათქვამთან და არა არაენობრივ სინამდვილესთან, ამიტომ იგი ნომინაციური არ არის. „კი“ და „დიახაც“ ნაწილაკებს არც სინტაქსური ინფორმაცია გააჩნიათ, რადგან ისინი არც წინადადებაში სიტყვათა ურთიერთმიმართებაზე მიუთითებენ და არც გამონათქვამში წინადადებათა ურთიერთკავშირზე. სინტაქსურ კავშირებს მათი ამოღებით არაფერი დააკლდებათ.

ინფორმაცია, რომელიც გადმოიცემა აღნიშნული ნაწილაკებით, ეხმარება მსმენელს გაერკვიოს გამონათქვამის ორგანიზაციაში, დააზუსტოს, რომელ თემას განეკუთვნება რემა. მათი ფუნქციები სინტაქსური ფუნქციის ანალოგიურია, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ისინი აქტუალური არიან გამონათქვამის და არა წინადადების დონეზე. ამიტომ ამ ტიპის მნიშვნელობას კომუნიკაციური ეწოდება, რადგან იგი ხასიათდება პრაგმატული ინფორმაციით – ასახავს გამონათქვამის კომუნიკაციურ ორგანიზაციას.

ცხადია, რომ კომუნიკაციური ამოცანა კონტექსტში ჩაურთველად უკვე იზოლირებულ წინადადებაში ხორციელდება. იგი ჯერ კიდევ მეტყველების აქტამდე ქმნის ერთგვარ სავარაუდო, პოტენციურ ინფორმაციულ სტრუქტურას, რაც იმას მოწმობს, რომ კომუნიკა-

ციური ამოცანის დამატებით გამოწვეული ცვლილება გამოიხატება როგორც იზოლირებულ წინადადებაში არსებული კომუნიკაციური დატვირთვის საშუალებით, ისე მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებითაც. მაგალითად, კავშირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახალი ან ნაცნობი ინფორმაციის შემოსვლის მარკერად. სახელდობრ, მაპირისპირებელი და მაქვემდებარებელი კავშირები ახალი ინფორმაციის შემოტანას მიგვანიშნებენ – „სტუდენტები მივიდნენ, **მაგრამ** ბიბლიოთეკა დაკეტილი იყო“, „ისინი იცინოდნენ, **ხოლო** სხვები ტიროდნენ“, „ქალმა მოიხედა, **თუმცა** არავინ ეძახდა“, „არ ვიცოდი, **თორემ** მივიდოდი“ (მაპირისპირებელი კავშირები); „აივანზე გამოვედი, **რათა** მზის ჩასვლისთვის მეცქირა“, „ადრეც ეგონა, **რომ** ვინმეს გაჰყვებოდა“, „ვერ გაიმეტა, **რადგან** ძალიან უყვარდა“ (მაქვემდებარებელი კავშირები) და მისთ. „ცნობილი ინფორმაციის“ შემოსვლის მანიშნებელია მაიგივებელი კავშირები: „მე ვინახულე ტბა სევანის, **ანუ** ტბა გოგჩის“ (მ. ლებანიძე); „ზეგ, **ესე იგი**, ოთხშაბათს, გაიმართება საპარლამენტო კომიტეტის სხდომა“. ნაწილაკსაც შეუძლია ახალი ინფორმაციის გამოჩენა გვავარაუდებინოს.

ამგვარად, დამხმარე სიტყვები, რომლებსაც არა აქვთ უნარი გადმოგვცენ ნომინაციური ან სინტაქსური ინფორმაცია, ხასიათდებიან პრაგმატული ინფორმაციით და მათ ლექსიკურ მნიშვნელობაში აისახება გამონათქვამის კომუნიკაციური ორგანიზაცია, რასაც ტექსტის გაგება-გაგებინებისათვის, ასევე ენის შესწავლა-სწავლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

წარმოდგენილი მიმოხილვითი წერილით გვსურდა კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი საბაზისო ქართულის შემოსაზღვრის მეცნიერულად დამუშავების აუცილებლობისათვის, კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, რომ გრამატიკა, რომელიც ფორმიდან შინაარსისაკენ მიდის, იყო და დარჩება გრამატიკის ძირითად სახედ, ხოლო ფუნქციური გრამატიკა იქნება დამატებითი სახე გრამატიკული აღწერის ძირითადი ტიპისათვის, რომელიც ამ უკანასკნელზე მეტად მიესადაგება ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებას.

ლიტერატურა

კვარაცხელია 1990 – გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი.

კვარაცხელია 1993 – გ. კვარაცხელია, ქართულის, როგორც არამშობლიური ენის, სწავლების მეცნიერული ბაზისისათვის. – პროფესორ-მასწავლებელთა 59-ე საინსტიტუტთაშორისო სამეცნ. სესია, თეზისები, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ. ინსტიტუტი, თბილისი.

კვარაცხელია 2009 – გ. კვარაცხელია, „წერილები, ლექსები, დიალოგები“, თბილისი.

ჩიქოზავა 1972 – არნ. ჩიქოზავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი.

Gucha Kvaratskhelia

Georgian as a Second Language (Review)

Summary

Linguistic literature that gives the results of studying the issues of the structure and semantics of the Georgian language is multilateral and extensive. In order to use this qualitative-quantitative important knowledge in the field of linguopedagogy, it is essential to reset it the way when the functional aspect becomes the leading factor that contradicts the principle of traditional formal grammar “from the linguistic means to the function”, i.e. “from the form to the meaning”. Such a requirement will give us a new grammar that will be focused on the regularities and rules of the functioning of the linguistic units that will be presented in the direction not only “from the means to the function” but also “from the function to the means” when describing the functions of linguistic means.

The grammar that goes from the form to the meaning was and will remain the main type of grammar while functional grammar will be an additional kind to the main type of the grammatical description.

The present paper deals with the problems that occur in the process of second language learning/teaching. It reviews foreign theoretical works on the basis of which the important linguopedagogical experience is determined. The importance of activating the functional aspect when teaching Georgian as a second language and the necessity of processing the issue of creating basic Georgian are scientifically explained.